ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 356

"25" ივლისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა № 10ბ-ში არსებული №01.10.06.006.359; №01.10.06.006.360; №01.10.06.006.361 მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „გალაქსი კონსტრაქშენისთვის" (საიდენტიფიკაციო №404987056) გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა №10ბ-ში არსებული №01.10.06.006.359; №01.10.06.006.360; №01.10.06.006.361 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „გალაქსი კონსტრაქშენისთვის" (ს/ნ. 404987056) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 16 ივლისის №25.1186.1339 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა № 10ბ-ში მდებარე 16 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.10.06.006.359), ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა № 10ბ-ში მდებარე 16 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის №01.10.06.006.360) და ქ. თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა № 10ბ-ში მდებარე 16 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.10.06.006.361) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, საფეხმავლო ბილიკებისა და კიბის უჯრედების მოწყობის მიზნით, შპს „გალაქსი კონსტრაქშენისთვის" (საიდენტიფიკაციო №404987056) გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - ჯამურად 6 912 (ექვსი ათას ცხრაას თორმეტი) ლარი.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე